«დროების» რედაქცია — სიმონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ქალაქებში წიგნის მაღაზიებში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».
ფასი: წლით 9 მ. 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თ.—4 მ.; 3 თ.—3 მ.; 2 თ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდავ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი და 50 კაპ.

შაბათისთვის 31 მ. დანიშნული კონცერტი გადადება კვირაცხოვლობის კვირისთვის.

### უახლესი ცივილიზაცია უძველესის წინაამდეგ.

თბილისი, 29 მარტს.

თითქმის ერთი წელიწადია, რაც გაზეთების შეხორთის განყოფილებაში, სადაც კი საფრანგეთზე არის ლაპარაკი, ყველასათვის გასაგებ სიტყვებისა და სახელების მაგიერად, ჰკითხულობთ: ბაკ-ნინგ, სონტაი, შაი-ჰოა-ფუ, პინ-ჩეუ, ჩუქ-სან და სხვა რაღაც უცნაურს, შეუჩვევარ ყურისათვის მეტად საჩოთირო სახელებს. ჩვენ მხოლოდ ვკითხულობთ და საფრანგეთის მამაცი ერთი მუჭა-ჯარი კი იბძვის ამ გადაკარგულ ქვეყნებში ყოველ-გვარ გაჭირებასთან: სიმშილთან, წყურვილთან, აუტანელ სიცხესთან, ჰაობის ციებასთან და, რაც ყოველ ამაზედ კიდევ უარესია, ცბიერ ჩინელების ორპირობასთან.

რომ საფრანგეთს შინ უფრო მეტი საქმე ჰქონდა და სხვა მეზობლების პასუხის საგებლად მომზადება უფრო საჭირო იყო ტონკინისა და ჩინეთისაკენ გაბარგებას,—ამაზედ გვქონდა კიდეც ლაპარაკი და ნათქვამს აღარ გავიმეორებთ. როგორც უნდა იყოს, ეხლა საფრანგეთი და ჩინეთი ერთმანეთს პირ-და-პირ უდგანან და რობესპიერ-დანტონ-მარატის ემბაზში ამოვლებული ფრანცუზები ომს უპირებენ კონფუციის აქეთ ზნეობა და გონება-გაქვაებულს ჩინელებს.

გეოგრაფიიდამ გვცოდინებათ, რომ ჩრდილოეთის მხრივ ჩინეთს შემორტყმული ჰქონდა უზარმაზარი, რამდენიმე ასის ვერსის სიგძე კედელი, რომელიც ამ ქვეყანას იფარავდა ძველ დროს ველურ ხალხთა თავდასხმისაგან. ამ გვარივე კედელი, მაგრამ არა ქვისა და კირისა, შემოირტყა ჩინეთმა გარშემო ევროპიელთა შესევისაგან თავის დაცვისათვის და ამ გვარად თავის გავლენის ქვეშ მოიგდო, სხვათა შორის, მის სამხრეთით მდებარე ტონკინი და ევროპიელებს ნებას არ აძლევდა ამ ქვეყანაში ფეხის მოკიდებისას. ეს კედელი, ამას გარდა, წინ აფარებული ჰქონდა ჩინეთს და შეეძლო თან ალერსით მოპყრობოდა საფრანგეთს, თან ჩუმად ცდილიყო აზიის ნიადაგზედ ფეხის დადგმა ჩაეშხამებინა მისთვის.

სონტაისა და ბაკნინგის აღების შემდეგ კი ჩინელებს ორპირობა აღარ გამოადგებათ. ფრანცუზებმა ამით თითქმის მთელს ტონკინში ფეხი მოიკიდეს და წინ მხოლოდ ჩინელებიღა ჰყავთ მოწინააღმდეგედ. ბაკნინგსა და ჩინეთის სამზღვარს შუა დიდი ადგილი აღარ არის და ეს ადგილი უფრო ჩინელებისათვის არის სახარბიელო, ვიდრე ტონკინელებისათვის. თუ დაიცვენ ამ ადგილს, ისევ ჩინელებმა უნდა დაიცვან და ამ გვარად ჩინეთსა და საფრანგეთს შორის საქმე საეჭვოდ აღარ არის დაყენებული. ან უნდა ომი გამოუცხადოს ჩინეთმა საფრანგეთს, ან დამარცხება იკისროს და სამხედრო გარდასახადი გარდაუხადოს.

თუმცა ჩინელებს ევროპიულად მოწყობილი პატარა ჯარიცა ჰყავთ, კარგად გამართული ფლოტიც, არსენლებიც, სამხედრო ნავთ-სადგურებიც, ციხეებიც, მაგრამ, როგორც უკანასკნელმა ამბებმა დაამტკიცეს, ციხეები იმიტომა აქვთ, რომ მტერს თავ-შესაფარად დაუთმონ ხოლმე და მის ჯარებსაც მუდამ ის აგონდებათ, რომ ღმერთს მათთვის ფეხები მიუნიჭებია გასაქცევად და არა მკლავები საბრძოლველად. ამას გარდა, ჩინელები ეხლა ვერავისგან მიიღებენ შემწეობას, თუ, ვინიცობაა, ომი გამოუცხადეს ფრანცუზებს. ერთად-ერთი ინგლისელები არიან, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეებში ჩარევა და ინგლისელებს ეხლა ჩინელებისათვის არა სცალიანთ. თუნდა კიდეც ეცალოთ, მაინც საეჭვოა, რომ ისინი ჩინელებს მიუდგნენ ფრანცუზების დასამარცხებლად, რადგან, თუ ჩინელებმა გაიმარჯვეს, მაშინ შეიძლება თავიანთ თავი ევროპის ბატონად წარმოიდგინონ და ინგლისელებიც გამორეკონ თავიანთ ქვეყნიდამ. ეს ინგლისის ვაჭრობას აზიაში კბილს მოსტეხს და არც საფიქრებელია, რომ ინგლისელებმა იკისრონ ამ გვარი შეცდომა.

მაშ მოსალოდნელია, რომ მალე ჩინეთში მშვიდობის ჩამოგდება მოითხოვოს საფრანგეთის მმართებლობისაგან და ჩვენც გადავრჩეთ პინ-ჩეუ-ჩუქ-სანებზედ ამბების კითხვას.

### შინაური ქრონიკა

≈≈ შესახებ ლვინის-მოყვანის სკოლების გამართვისა კავკასიაში ჩვენ შევიტყვეთ, რომ მთავრობას თითო სკოლისათვის გადაუდვია **2500** მან. და ჯერჯერობით არა აქვს თუ რამდენი სკოლა გამართოს, ან სადა. ზოგიერთ პირთა აზრით, საუკეთესო იქნება, რომ ეს სკოლები გაიმართოს სასოფლო სკოლებთან ერთად.

≈≈ გუშინ თავი მოიკლა რევოლვერით პრიკაზის კასირმა მანსვეტოვმა თითონ კასაში. დოქტორებმა ცოცხალს მიასწრეს, მაგრამ სისხლი მაინც ვერ შესწყვიტეს და საბრალომ პატარა ხანს უკან სული დალია.

≈≈ ამ დღეებში ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული ის უწესოება, რაც დაბა სურამში ჰხდება ზოგიერთა თავზედ ხელ-აღებულ პირთა წყალობით. ეს შენიშვნა ეკუთვნოდა თითონ რედაქციას და არა რომელიმე კერძო პირს. ამის გამო ხსენებულ პირთ კორესპონდენტის ძებნა ამაოდ ჩაუვლის, რადგან ეს ამბავი ჩვენთვის განსაკუთრებით არავის მოუწერია, არამედ რედაქციის წევრთ თავიანთ თვალითვე უნახავთ შენიშვნის დამამტკიცებელი ფაქტები.

≈≈ ქუთაისიდამ გვწერენ: «ამ თვის თხუთმეტს აქ მოხდა დიდად შემაძრ-

---

«დროების» ფელეტონი, 28 მარტი.

### ბ ა ღ შ ი.

გხედავ ბავშვებს, მშვენიერად დართულებს,
კასკასობენ, ცელქობენ, ნავარდობენ;
ხან ვარდს ჰგლეჯენ, ხან დასდევენ პეპელებს,
ხან ჩიტების ყრიამულით ხარობენ.
ღმერთო, ღმერთო! შენ მომადლე მათ გულსა
წმინდა გრძნობა—ხალხისა სიყვარული,
რომ იმათგან ელოდებოდენ გულსა
ქვრივ-ობოლი, დევნული, დატანჯული.

—

იქვე ვხედავ საწყლად მობუზულებსა,
შრომისა და სიღარიბის შვილებსა;
დამონძილი სამოსელი აცვიათ,
უღვთო შრომის დაღი გულსა ატყვიათ.
ღმერთო, ღმერთო! შენ იყავ მათი
შენ მომადლე გულსა ძალა შრომისა;
თვითაც უწყი, რომ იგინი არიან
«მარილნი ამ ქვეყნისა».

გ. ციმაკურიძე.

### მე და სოლო.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან).

(დასასრული *)

სოლო ცემისაგან არ დაზიანებულა; მალე მორჩა და ისევ სოფლის საქმეს შეუდგა. «ნადელების» შეყიდვაზე გაცხარებული მოლაპარაკება მებატონეების და გლეხების შუა და «მაშუალად» ამ საქმეში ჩვენი სოლოა. სოლო ბატონიანთ ძაან მიღებული ჰყავთ და მისი სიტყვა ბეჭედია «ყმაწვილებისთვის» **). ბატონი ფასს ძაან უწევს, სოლო კი თავის გამჭრიახე გონებით ცდილობს ფასის დაკლებას, მაგრამ ფონს ვერ გადის.

— სიყმე არ მომიკვდება, სოლო, შენს სიტყვას არ გავტეხდით, მაგრამ ჩვენც რა ვქნათ—ცოდონი ვართ: აქამდის «ნადელების» შემოსავლით ვცხოვრობდით, შემდეგში რაღა დაგვრჩენია,—ეუბნება სოლოს ერთი ხუჭუჭ-თმიანი;—შენ კი—მაშ შალიკო მოგიკვდეს, თუ ნადელებში ფასი გამოგართო.—აი ამ სიტყვებით გაისტუმრეს ჩვენი სოლო. თუმცა კი დაღონებული გამოვიდა სახლიდგან, მაგრამ მორიგების იმედი არ დაჰკარგოდა.—ერთს კიდევ შევეხმაურები და რაც გახდეს-გახდესო,—გაიფიქრა გულში სოლომ და გამოსწია სკოლისკენ, სადაც ხალხი შეგროვილი უნდა ყოფილიყო.

ხალხი სკოლაში არ დაჰხვდა... პრისტავს დაებარებინა იგი, რაღაც საზოგადო საქმეზედ მოსალაპარაკებლად. ბანაჩენიც შეედგინათ და მისი შინაარსი გადასხვაფერებით გადაეცათ ხალხისთვის... მოხელე არწმუნებს: ამ ქაღალდის ძალით სოფელს ზელავათი მიეცემაო...

—

ქველიერია და ამისთვისაც არის, რომ ჩვენ სოფელს რაღაც არა ჩვეულებრივი სილაღე და სიმხიარულე ეტყობა: ჩალიჩი, ფერხული და სხ. კიდევ გაჩაღებულია სკოლის არე-მარეზე. დღეს ხალხის ცხოვრების დამკვირვებელი ალტაცებაში მოვიდოდა სოფლელების სიმარდით და სიცქვიტით. ბოგოების ლხინს ხომ საზღვარი არა აქვს. არც ბუნებამ უმტყუნა მოლხინეთ: ისეთი მზე გამოვიდა, რომ, თუ ქოჩალს თავს არ მოსწევამდა, ადამიანს მაინც სახლს არ მონახვინებდა.

— ბიჭო, სოლო! ჩადექი ერთი და... კანჭები გაგვიხუროთ, დალრეჯილი ჩემი თავიც მეჯავრება,—უთხრა ერთმა მწყემსმა სოლოს.

— რა ვიცი, შარშან ლხინის პაპაეგ იყო, ახლა რაღა ვაემართა,—დაუმატა მეორე მწყემსმა...

— ეჰ, ჩემო გაბო! წინად ბავშვი ვიყავ, ბავშვი, გული მერჩოდა; ახლა ტვინი მერჩის და ცხოვრებამაც თავი-

*) იხ. «დროება» № 69.

**) ყმაწვილებს მემამულეს შვილებს უძახიან ზემო-ქართლში.

წუნებელი ამბავი. გახდა ავად მეხუთე კლასის გიმნაზიელი, ჩაჩიბაია. ავად-მყოფობის მიზეზი ის იყო, რომ ორი თვის წინად ცოფიან ძაღლს ეკბინა. საბრალო მამამ საჩქაროდ მოიწვია ქალაქის ექიმი, რომელმაც ურჩია ქირისუფალს კონსილიუმი შეედგინა. რასაკვირველია, ქირისუფალმა გაგზავნა კაცი ორ სხვა დოქტორთან; ერთი მათგანი მალე მოვიდა, მეორემ კი, ჩვეულებისამებრ, ძალიან დაიგვიანა. ბოლოს, როგორც იყო, მობძანდა. ორი სხვა ექიმი რომ დაინახა, წყრომით ჰკითხა ავადმყოფის პატრონს: «ვინ მომიწვია მეო?» იმან მიუგო,—«მე მოგიწვიეთო». «ამათ ვიღამ დაუძახაო?“—აჩვენა ექიმებზე.—ამათაც მე დავუძახეო“.—„რაა ქვეყნის ექიმები შეგიყრიათო!» წაიბუტბუტა წყრომით და გაბრუნდა უკან. ბევრს ეხვეწნენ ამ პატივცემულ ექიმს, რომ დაბრუნებულიყო, მოაგონეს მისი მოვალეობა, როგორც გიმნაზიელების ექიმისა, მაგრამ ვერაფერი ვერ გააგონეს. ყმაწვილს მეორე დღეს მოუსწრია ცოფმა და გარდაიცვალა. ამბობენ ყმაწვილის მამა ჩივილს აპირებს, სადაც ჯერ არს, ამ გიმნაზიის დოქტორის უხეირო ქცევაზეო»

== გორიდგანა გვწერ[ე]ნ: «გაზეთ «დროების» № 47 წავიკ[ით]ხე, რომ ბ. გუბერნატორს აუკრძალ[ავ]ს თბილისის დუქნებში და მაღაზიებში ერთბაშად სამს ფუთზედ [მე]ტის ნავთის შენახვა. თბილისს კი მოუშორებია ეს ცეცხლის წყარო, მაგრამ ჩვენს დაჩაგრულ გორს კი ისევ კარებზედ ადგია. ვისაც უნახავს გორის დახურული ბაზარი და ყველა დუქნის წინ ბოჩკით ნავთი, დამერწმუნება, რომ შეიძლება დღეს თუ ხვალ მთელი ბაზარი ნავთის მსხვერპლი შეიქმნეს. მართლაც, ამ ბაზარში ორას დუქანზედ მეტია, სულ ხისა, გრძლად გამწკრივებული და ერთი-ერთმანეთზედ მიკრული. გარეშემო სახლები აქვს ბაზარს შემორტყმული. ყოველ დუქანში ნავთსა ჰყიდიან, შუაში გზა ძალიან ვიწროა. ზამთარში ყველა მედუქნეს დილიდგან საღამომდინ მაყალი გაჩაღებული აქვს ცეცხლით; დაკეტის შემდეგ, რაც ცეცხლი რჩება, აქვე დუქნის წინ აპნევენ ღვთის ანაბარობაზედ. ამას გარდა, ბაქოს გზის გახსნის შემდეგ, ერთმა პირმა გაალო გორში ბაზრის ახლო ხის შენობაში ნავთის შესანახი, სადაც რამდენიმე ასი ფუთობით ნავთი აქვს შენახული და თორმეტის წლის ბავშვი უყენია ნავთის გასასყიდლად. რამდენიმე დღის წინად, ბაზრის ახლო, ხუდადოვის სახლში გაჩნდა ცეცხლი, სადაც ბოჩკებით ნავთი აწყვია. კიდევ კარგი, რომ მალე გააქრეს და გადავრჩით, მაგრამ განა ყოველთვის ისე გადავრჩებით?»

== ოზურგეთიდამა გვწერენ 21 მარტიდგან: «დღეს დილით ადრე მოვიდა ამბავი სოფ. ჯუმათიდგან, რომ წარსულს ღამეს იქ ბ. ჩ—ძეს და მასთან მყოფს სამს თუ ოთხს დარაჯებს მოუკლავთ გამოჩენილი ავაზაკი გიორგი ჭყონია, რომელსაც ბრალდებოდა გურიის მიცვალებული ეპისკოპოზის გაბრიელის გაცარცვა და მასზე თავ-დასხმა. გარდა ამისა, ჭყონიას ბრალდებოდა მრავალი სხვა დანაშაულობა და მათ შორის მილიციონერი გიგო ხიხაძის მოკვლა, როცა ჭყონია წარსულს წელს დაიჭირა იმავე ჩ—ძემ. ჭყონია არა ერთხელ დაუჭერიათ, მაგრამ ის გაქცევას ახერხებდა ხან სატუსაღოდგან და ხან გზიდგან. ამ გზობით ჩიგოგიძე დარაჯებითურთ ჩასაფრებულა ერთის გზის მახლობლად, საცა, როგორც შეტყობილი ჰქონდა, უნდა გამოევლო ჭყონიას ამხანაგებითურთ!!

ეს ამბავი ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდგან და არა სოფ. ჯუმათიდგან, სადაც ჭყონია იმალებოდა. ამ ამბის შესახებ ჩვენ მივიღეთ უფრო ვრცელი კორესპონდენცია საქმის დამსწრესაგან სოფ. ჯუმათიდგან, რომელიც ისე მოგვითხრობს ამ ამბავს, რომ ძნელად დასაჯერებელია. ქვემოდ ვბეჭდავთ ამ კორესპონდენციასაც.

== გაზ. «კავკაზს» ატყობინებენ, რომ ორშაბათს, 26 მარტს, ბათუმის რკინის-გზაზე, ჟობულეთის სტანციის მახლობლად დასცემიან ავაზაკები რვა კაცს, რომელნიც ვაგონეტკით მიდიოდენ თურმე რკინის-გზაზე. უკანასკნელთ რიცხვში ერთი ჟანდარმი ყოფილა და ერთიც არტელშჩიკი, რომელიც თვის ჯამაგირს ურიგებდა რკინის-გზის მოსამსახურეთ. ავაზაკებს ჟანდარმი იქვე მოუკლავთ და არტელშჩიკისთვის 3,000 მანათი წაურთმევიათ. ამბობენ, ავაზაკებმა თავს უშველესო.

## «დროების» კორესპონდენცია.

ჯუმათი, 21 მარტს. ამ მოკლეს ხანში, ჯუმათის ერთის მცხოვრების სახლში წოლილა ძლიერ ავად-მყოფი გავარდნილი და განთქმული ავაზაკი გიორგი ჭყონია, რომელიც იქვე მომკვდარიყო. სახლის პატრონმა შეატყობინა ეს ამბავი იმათ, ვისაც ჯერ არს. მოვიდნენ, თუ არა იქ, სადაც ესვენა ჭყონია, მაშინვე უიმისოდაც მკვდარს ორი თოფი ესროლეს, გაიტანეს გვამი მახლობელ ღელის პირზე, იქ დააგდეს და შეჰქნეს თოფების სროლა. თოფის ხმაზე ყველა მეზობლები და საზოგადოება შეიკრიბნენ; ენახეთ მკვდარი წმინდად თავის საცვალში, წვეთი სისხლიც არ გამოსულოდა, და, რასაკვირველია, ტანსაცმელიც სისხლში მოსვრილი არ იყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ, ჭრილობების ალაგას, ხორცი [illegible] იყო მიყრილი, შავად დამწვარი. მოვიდენ გასასვენებლად მიცვალებულის ნათესავები, გარემოება შეიტყეს და მეც დაწვრილებით ვუამბე ყოველივე.

ბევრი თავის დღით მკვდარი და მოკლული გვინახავს, რომ ექიმს გაეჭრას და დაემოწმებინოს, რით არის მკვდარიო; ჭყონიას კი არა თუ გაჭრა და შემოწმება აღირსეს, თვალითაც არ აჩვენეს არც მაზრის და არც სხვა ექიმებს.

დამსწრე ა. ჟ. გოგაძე.

## წერილი ბ-ნ დიმიტრი ბაქრაძეს მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფევ,

პატივ-ცემულო დიმიტრი!

მოგეხსენებათ, რომ ეხლანდელი დრო არის დრო სწავლისა და მეცნიერებისა. ისიც მოგეხსენებათ, რომ ქართველობაშიაც აიდგა ფეხი სწავლის სურვილმა და თუ დღეს არა, ხვალ ეს სურვილი წყურვილად გადაგვექცევა. სწავლისა და ძიების სურვილმა მიმართა ჩვენი თვალი და გონება ჩვენს ეხლანდელს მდგომარეობაზედ, რომლის შეგნებისათვის ძლიერ საჭიროა წარსულ დროთა გამოკვლევა და შესწავლა. წავიდა ის დრო, როდესაც გამოურკვეველი ჩვენი გონება ვერას ახერხებდა და არ იცოდა, რისთვის მოეკიდნა ხელი. დღეს გამოფხიზლებულს ნაწილს საზოგადოებისას ნათლად აქვს დახატული და შეგნებული ის პირობანი, რომელთ შორისაც შეიძლება რიგიანად იწარმოვოს ჩვენმა წარმატებამ და განვითარებამ. ერთ ამ გვარ პირობად იგი აღიარებს წარსულის ჩვენის თავ-გარდასავალის ცოდნას საქართველოს ისტორიის შემეცნებას. იგი დარწმუნებულია, რომ უამისოდ ვერ შევისწავლით ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობას, ვერ მივხვდებით მის ვითარებას, ვერ გაუზომავთ ვერც სიღრმესა და ვერც სიგანეს. ჩვენც ვერძოდ დარწმუნებული ვართ, რომ წარსულის შეუსწავლელად არამც-თუ ეხლანდელის ჩვენის მდგომარეობი-

---

სი კლანჭი წამომკრა,—უპასუხა სოლომ.

— რა დროს მაგაზე ლაპარაკია, ბიჭო! ჩაეთრიე წრეში და «ჩალიჩი» გააჩურეთ. მე სამოც-და თხუთმეტის წლის კაცი ქრუანტელში მოვდივარ და შენ კი... აქ რაღაც უნდოდა ეთქვა ერთ მოხუცებულ გლეხს, მაგრამ, სიტყვის მაგივრად, ჩალიჩი გაულაწუნა სოლოს ფეხებში და წრეში ჩააგდო.

— ქალებო, ქალებო! სოლო თამაშობს, სოლო! გაისმა ხმა ქალებისკენაც. მთელი ქალების ხროვა სოლოს თამაშის საყურებლად მოცვივდენ. ჩალიჩების ტლაშა-ტლუშშია. სოლოს სიმარდეს შენატრის ქალიც და ვაჟიც და გულით უნდათ ნეტავი ჩქარა «გასჭრას» სოლომა რომ ახლა მაგან დაუაროსო.

თამაშობა ბევრ ხან გაგძელდა... დასვენებასაც აღარ ნებულობდენ ვაჟბატონები, ერთ ჩასუქებულ ოფიცერს, რომ მოთამაშეების ყურადღება არ მიეპყრო.

— ბიჭო! ეს ხომ ჩვენი მოხელეა, ამდენი ჩაფარი რადა არის,— შეექნათ გლეხებს ერთმანეთში სჯა.

მოხელე მიუახლოვდა ხალხს და აი რა გამოუცხადა: «თქვენი «პრილოვორი» ძაან მოიწონეს და შეგაქეს კიდეც; ბარაქალა, თქვენს ბიჭობას, რომ მავნე კაცებს არ იფარავთო (ხალხი განცვიფრებით ყურს უგდებს). ერთი სიტყვით, თქვენი «პრილევორი» ძაან მოეწონათ და უფროსის გადაწყვეტილებით სოლო თარიშვილი უნდა გადასახლდეს აქედგან». «თარიშვილი უნდა გადასახლდესო? რადაო? ვის რა დაუშავა თარიშვილმა? შეეკითხე მოხელეს.

— ეგ შენი საქმე არ არის, ვაჟბატონო! და თუ არ იცი, რაც არის შენი საქმე, ამ ორ კვირაში გაიგებ.

— ჩვენში სოლოს არავინ ემდურის, ერთად ერთი ვაჟკაცი ჰყავს სოფელს, მთავრობასთან ვილასაც დაუბეზღებია...

X

მას აქეთ ერთი თვე მეტი გავიდა.... სოფლელებს ჯერაც არ დაუვიწყნიათ ყველა იმაზე ლაპარაკობს... დედაკაცების ლაპარაკის საგანი ხომ ის არის და ისა... მე და სოლოსაც არ გვავიწყდება ის ამბავი და საშინელ ბოლოსაც მოველით... თუმცა კი სოლო ამ «საშინელ ბოლოს» არაფრად აგდებს, ხალხი კი ძაან ფიქრობს საქმის დასასრულზე...

ღმერთმაცა და კაცმაც კარგად იცის, რომ წმინდა გულით ვემსახურე სოფელს და ახლა სხვა ემსახუროს ჩემს მაგივრად,—ეს სიტყვები წარმოსთქვა სოლომ მაშინ, როდესაც ჩაფრები მოვიდენ სოლოს წასაყვანად «ნაუბახტში» ჩასამწყვდევად. ახლა ძალადობა არავის გამოუჩენია, სოლოს დაჭერა თითქმის ვერავინ გაიგო...

აქეთ-იქით კი ცოტათი ყურს მოჰკრავდა კაცი დედა-კაცების ლაპარაკს: სოლო შეწუხებულია, „უჩიტლიანთ“ ბალკონიდამ გადმოვარდნილაო, სოლო კვდებაო და სხ... ძაან ნანვაში და მწუხარებაში ჩავარდენ გლეხები, როცა სოლოს დაჭერა გაიგეს... გადავწყვიტეთ დაგვეხსნა როგორმე... სოფელი თავდებად უნდა დასდგომოდა. დედა-კაცებს კი არა სჯეროდათ.—რომ სოლო დაიჭირეს. სოლო ავად გახდა და «უჩიტელმა» ქალაქში გაგზავნა მოსარჩენადაო... საზოგადო გლოვა და მწუხარება ეტყობოდა ქალებსაც.

«სოფელს სტირიან ქალები,
ჰაი ვაჟკაცი კვდებაო;
ღმერთო, ნუ მოჰკლავ ვაჟ-კაცსა,
სოფელი წაგვიხდებაო,
უფროსთანა და მტერთანა
წინ ვილა წაგვიძღვებაო».

სანდრო ჭოჭოლა.

სას ვერას გაგიგებთ, არამედ მომავალის შესახებაც უსინათლოებსავით ვიქნებით.

მოგვიტევეთ, რომ ამის ნება არ აგვიღია და პირ-და-პირ კი თქვენ მოგმართავთ ამ წერილით, მოგვიტევეთ, რომ აქ ყოველს საგანს თავის ნამდვილ სახელს დავუძახებთ. დღეს ჩვენ ქართველობაში თქვენ გვეგულებით და ხართ კიდეც ზედ-მიწევნით შემმეცნებელი წარსულის ჩვენის ცხოვრებისა, საქართველოს თავ-გარდასავალისა. დღეს მთელს ტფილისში მხოლოდ თქვენ გვეგულებით და ხართ კიდეც მცოდნე, როგორც საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიისა, ისე პალეოგრაფიისა და თითქმის ერთს ვერა გხედავთ, რომ თქვენს კვალს ადგეს და თქვენს საგანს სწავლობდეს თქვენივე ხელმძღვანელობით, თუმცა თქვენ, დარწმუნებულნი ვართ, ამ ხელ-მძღვანელობისათვის არ დაზოგავდით შრომას და დროს. ეს გარემოება იმ მიზეზით კი არ აიხსნება, რომ ვითომ ჩვენ თვითონ არა ვართ მოწადინებულნი საქართველოს ისტორიის შესწავლისა, ან არ გვესმის დიდი და დიდი მნიშვნელობა მისი ეროვნულის ცნობიერობის განმტკიცებისათვის, არამედ იმ მიზეზით, რომ არ ვიცით, როგორ დავიწყოთ ეს შესწავლა, არა გვყავს ხელმძღვანელი, არა გვყავს მეცნიერი მეისტორიე, რომელიც წინ მიგვიძღოდეს სიბნელით მოცულს წარსულთა დროთა მოთხრობის ძიებასა და გამოკვლევაში. დღეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ თქვენის დიდის ისტორიულის მომზადებით, დიდის ერუდიციით, მრავლად შეგნილის ფაქტებით, აგვინთოთ ის მეცნიერული ფარანი ხელ-მძღვანელობისა და გაგვინათოთ გზა წარსულის გამოძიებისა.

თქვენ მოგმართავთ წრფელის გულით, რომ გაგვიზიაროთ თქვენი ცოდნა, თქვენი შეთვისებული ისტორიული ხერხები ძიებისა და გამოკვლევისა. აქ უნივერსიტეტი არა გვაქვს, აქ პროფესორები არა გვყავს, ლექტორები არ მოიძებნებიან და ამისათვის თქვენ შეგიძლიანთ ჩვენი გონება, ჩვენი მეცნიერული ინტერესები, (მწერლობას არ ჩავთვლით), დააკმაყოფილოთ და დააკმაყოფილოთ იმით, რომ თვეში ერთხელ, ან სამსა და ორ კვირაში ერთხელ ისაუბროთ ერთის ან ორის საათის განმავლობაში ჩვენთან, ჩვენის წარსულის უმეცრებთან, სხვა-და-სხვა ისტორიულს საგნებზე. ჩვენ ღრმად გვგონია, რომ ჩვენთვის საინტერესო და საცოდნელად კარგი იქნება ყოველ-გვარი ისტორიული გარემოება, რომელსაც თქვენ გახდით თქვენის საუბრის საგნად. არხეოლოგიის შესახებ იქნება იგი საუბარი, თუ ისტორიის შესახებ, — ჩვენ მაინც დიდის სიამოვნებით მოვისმენთ თქვენს სიტყვას, მეცნიერის აზრს. ესე გვარი «საისტორიო საუბარნი», ცოდნის გარდა, მსმენელს მისცემს შეძლებას ცხოველ ურთი ერთობაში იყვეს მეცნიერების წარმომადგენელთან, მისცემს შეძლებას სრულიად შეუმჩნევლად შეითვისოს ძვირფასი განძი კაცისათვის, მეცნიერული ხერხები ძიებისა და გამოკვლევისა. ამ გვარ სასაუბროების გასამართავად ჩვენ სახლსა და ადგილსაც ადვილად ვიშოვით.

აი თხოვნა, რომლითაც მოგმართავთ თქვენ, ბ-ნო დიმიტრი! «მოგვაგონეთ დრონი წარსულნი, რათა გულის-ხმა-ვყოთ».

დავასრულებთ ჩვენს მიმართვას წინასწარმეტყველის სიტყვით. ბოლოს ვისურვებთ, რომ ჩვენი წინადადება ბევრს მიეღოს თანაგრძნობით და მოგვეშველებოდეს ჩვენ ამ საქმეში ამავე გაზეთის საშუალებით.

დავშთები თქვენი ღრმად პატივის-მცემელი

გრ. ყიფშიძე

## სხვა-და-სხვა ამბები.

**საგულისხმიერო ანეკდოტი.** რუსულს იუმორულს ჟურნალ «სტრეკოზა»-ში მოყვანილია წარსული დროებიდამ ერთი სასაცილო ამბავი, რომელსაც ძალიან ჰგავს სიმართლეს. ერთმა გუბერნატორმა, რომელმაც გულს მოდგინებით მოიწადინა თავისი ქვეშევრდომების ზნეობითი ამაღლება, გამოსცა შემდეგი ცირკულიარი: «ჩემამდის მოაწიაო—სწერდა გუბერნატორი—«ვითომც პოლიციის დაბალი მოსამსახურენი უფულოდ ართმევდენ გლეხებს სხვა-და-სხვა ხორაგეულობასაო; მე ვფიქრობ, რომ ასეთი საქციელი არ შეეფერება მათს ღირსებასა და გიბძანებთო, რომ კვლავ გლეხებს უფულოდ აღარა გამოართვათ-რაო». ამ ბძანების შემდეგ, ეხლა პოლიციის ერთს ზედამხედველს გლეხ-კაცი. «რა გეპრიანებაო»? მედგრადა ჰკითხა მას პოლიციელმა. «აი, გავბედე, ბატონო, და მოვართვი თქვენს პატიოსნებას ხბოო»,—უპასუხა კრძალვით გლეხმა. «სხვა»?—«ჰკითხა პოლიციელმა.»—ნუ იცოტავებთ, ინებეთ მორთმეულის მიღებაო», ეხვეწება გლეხი. «როგორ თუ! ზანა შენ ჯერ არ შეგიტყვია გუბერნატორის ახალი ცირკულიარი?» ეკითხება გინრისხებული პოლიციელი. «არა, თქვენო პატიოსნებავ! მე ცირკულიარებისა არა გამეგება-რაო», უპასუხა მან. «ცირკულიარში სწერია, რომ ჩვენ უფულოდ არაფერი არა მივიღოთ-რა გლეხკაცებისაგანაო»,აუხსნა პოლიციელმა. მიჰმართა საცოდავმა გლეხმა თავისს საცოდავს ჯიბეს და ამოიღო იქიდამ ერთი დაგლეჯილი მანათიანი, რომელიც დაუმატა ხბოსა და ერთად მიართვა გულკეთილის გუბერნატორის ხელ-ქვეითს.

—

**ჩექმა-ჭამია კაცი.** გაზ. «რუსკი კურიერი»-ს კორესპონდენტი იწერება მოგილევიდამ შემდეგს ამბავს: ერთს იქაურ ტრახტირში მოიყარეს თავი ხარაზმა, მოქალაქემ, გვარად კ—მა, სამსახურიდამ გამოსულმა სალდათმა ზ—მა და სხვებმა. ჩამოვარდა ლაპარაკი და პირველთ სამთ სანაძლეო დასდეს, რომ ერთი მათგანი, სახელდობ — სალდათი ზ — ვი, შესჭამს წაღას, რომელიც იქვე ხარაზს ეჭირა ხელში. სანაძლეო იყო 5 მანათი. დაჰკრეს ხელი ხელს. ხარაზმა მიაწოდა ჩექმა სალდათს. ამანაც აიღო, ჯერ მოხრაკა ცეცხლზე ლაზათიანად და მერე დაუწყო ჩექმას ჭამა. მრავალი ხალხი დაესწრო ამ საკვირველი საჭმლის შექცევას. სალდათმა დინჯად დალეჭა ჩექმის ყელი, პირი და გადაყლაპა ლუკმა-ლუკმაზედ. დარჩა მხოლოდ ჩექმის ძირი. იმისი შეჭმა კი ვეღარ მოახერხა სალდათმა, რის გამოც ვერ მიიღო მან სანაძლეო 5 მან. ასტყდა საშინელი ბაასი. სალდათი ამტკიცებდა, რომ სანაძლეო მას ერგება, რადგან ჩექმა შესჭამა, ხოლო რაც შეეხება ჩექმის ძირს, იმას არა სჭამს მიტომ, რომ ხორცის ჭამაშიაც რჩება ხოლმე ძვლები და ეგ ძირიც მითომ ძვალი ყოფილაო. მაგრამ მისმა საფუძველმა ვერ გასჭრა, სანაძლეო მაინც ვერ მიიღო და შერჩა მხოლოდ ჩექმის ყელისა და პირის მირთმევა. კორესპონდენტი იწერება, რომ ამისთანა საჭმლის მიღების შემდეგ სალდათს არა ვნებიარა და ის ისე დაიარება, თითქო რწყილიც არ აჰფრენოდესო. ნეტავი იმის კუჭს!

—

**მერვე ქმარი.** ბუდაპეშტიდამ იწერებიან ერთის ქალის ამბავს, რომელსაც მოჰკვდომია უკვე შვიდი ქმარი და ახლა მერვე შეურთავს. ამ ქალის სახელი არის თურმე ამალია პრობალდი («პრობალდი» ვენგრიულად ჰნიშნავს—«აბა, სცადეო»). ამალია თურმე ეხლაც ჯერ ისევ ლამაზი ქალი და თავისი მერვე ქმარი ამოურჩევია სამ კაცში, რომელნიც მას თაყვანსა სცემდენ და ილტვოდენ მის მშვენიერებისადმი.

—

**ხალხური გასამართლება (Судъ Линча).** ცინცინატიდამ მოსულმა ტელეგრამებმა შეგვატყობინეს, რომ იქ დიდი არეულობა მოუხდენია ხალხს იმის გამო, რომ ნაფიცთა მსაჯულებს არ დაუსჯიათ სიკვდილით ვიღაც მძიმე დამნაშავე. საზოგადოდ, ამერიკაში, სადაც მოსამართლეს ფულით ყირამალა ათამაშებ და როგორც გინდა, მოისყიდი, ხალხური გასამართლება ამიტომ ძალიან ხშირია.

მოგვყავს ერთი მაგალითი ამ გვარი გასამართლებისა. შრე კოლორადოში, ამ ბოლოს დროს, ნაფიცთა მსაჯულებმა თორმეტამდის კაცის-მკვლელი გაანთავისუფლა და არ დასაჯა სიკვდილით. ხალხი ძალიან აღელვებული იყო ამის გამო. ბოლოს, მოხდა ერთი საზარელი ბოროტ-მოქმედება: დროულს კაცს, სახელად მიქელ კუდიგენს, და მის ახალ-გაზდა ლამაზს ცოლს ჰბრალდებოდათ მკვლელობა თერთმეტი წლის ობოლი და მდიდარი ქალისა, რომელიც ამ ცოლ-ქმრის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. რა არის, ეს ობოლი მალე მოკვდესო და მისი საცხოვრებელი ჩვენ დაგვრჩესო,—ძალიან ცუდად ეკიდებოდენ ისინი ამ უბედურს: სიცივეში გარედ აწვენდენ, უჭმელ-უსმელსა სტოვებდენ, საშინლად სცემდენ. ხალხმა იცოდა ეს ამბავი. ბოლოს ქალი მოკვდა. საჩქაროდ აიღეს და დამარხეს კუდიგენებმა. ამ აჩქარებამ ეჭვი დაჰბადა ხალხში. ამოიღეს მკვდარი მიწიდამ და აღმოჩნდა, რომ მას თავში ჰქონდა დაკრული ჩაქუჩი. ბოლოს დამტკიცდა, რომ იგი მოეკლა კუდიგენის ცოლს. გამომძიებელმა არცკი დაამწყვდია მკვლელი ციხეში, რადგან უკანასკნელი მდიდარი იყო. ხალხი გაბრაზიანდა. შესდგა მთელი რაზმი, რომელიც ეძგერა მკვლელის სახლს, გამოიყვანა იქიდამ ცოლ-ქმარი, წაათრია ტყეში, ამოარჩია ნაფიცი მსაჯულები, იქვე გაარჩიეს საქმე, გადაუწყვიტეს მკვლელებს სიკვდილით დასჯა და იქვე მოუღეს მათ ბოლო. ასეთია ამერიკაში სახალხო გასამართლება.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

26 მარტს.

ბერლინი. «ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთი» ამტკიცებს, რომ ბისმარკი ჯან-მრთელობისთვის თავს ანებებს თანამდებობას პრუსიის მინისტრთა რჩევის თავმჯდომარისას, პრუსიის გარეშე საქმეთა და ვაჭრობის მინისტრისას; ის მხოლოდ კანცლერად და გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრადღა რჩება, რადგან გარეშე საქმეები ისე აქვს იმას მოწყობილი და ისეთი ნდობა აქვს დამსახურებული უცხო ქვეყნების მმართებლობათა, როგორსაც სხვა ვერავინ დაიმსახურებს.

კაირი. ის თემნი, რომელნიც შენდის და ხართუმის შუა ცხოვრობენ, მთლად აჯანყებულან; ყველა გზები ბერბერის სამხრეთით აჯანყებულებს უჭირავთ. 11 მარტიდგან გორდონზედ აღარავითარი ამბავი არ მოდის.

27 მარტს.

პეტერბურგი. 22 მარტს გამოცხადებული ცნობა იმაზედ, რომ ნება-დართულია მიიღონ ხოლმე გირაოდ ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები, შეეხებოდა თბილისის საკრედიტო ბანკს; მაგრამ ეს ცნობა მართალი არ გამოდგა.

ოდესა. იმპერატორის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ სამხრეთ რუსეთში 24 მარტს ერთხმად დაადგინა; იშუამდგომლონ მმართებლობის წინაშე, რათა შეცვლილ იქმნან ის კანონდებულებანი, რომელნიც შეეხებიან მუშების და მათი დამჭერების ხელ-შეკრულობათა აღსრულებას და აგრეთვე მათი პასუხის-მგებლობის გათანასწორებას კანონის წინაშე; საზოგადოებას ამით უნდა აიცილოს მუშებს თავიდამ მომა-

ტებული პასუხის მგებლობა და დაიხსნას იგინი დამჭერთა თვითმნებლობისაგან. საზოგადოებამ ამასთანავე გადასწყვიტა-სთხოვოს სამხრეთ გუბერნიების ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, რათა იმათაც მასთან ერთად იშუამდგომლონ ამავე საგანზე.

**სარატოვი.** პოკროვსკისკენ, ბოროვსკისკენ და ბალაკოვისკენ პური აღარ მოაქვთ; რადგანაც გზები ტალახიანი და გაფუჭებულნი არიან. ტაროსი თბილი და მოწმენდილია.

**ბუხარესტი.** სამინისტრო სამსახურიდგან ეთხოვება, რადგანაც პალატა არ ეთანხმება კონსტიტუციის გარდახილვის საქმეში.

## განცხადებანი

**«ივერიის» რედაქციისაგან.**

გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს

**თებერვლის წიგნი «ივერიისა»,** რომელიც თუმცა თებერვლის გასულსავე მზად იყო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო დღევანდლამდე დაიგვიანა. **შინაარსი** წიგნისა შემდეგია: I. განკიცხული (შემდეგი) ა. მოჩხუბარიძისა, II. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში, თ. ჟორდანიასი, III. სოფლისთვის თავ-დადებული, ანუ რომელია სიმართლე? (თარგმანი) რ. ბამსაშვილი ც—ისა, IV ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიიდამ (შენიშვნები ბატონ-ყმობაზედ) ნიკო ხიზანიშვილისა, V. საგულის-ხმიეროდ (გაზეთებიდამ) I წარსულის მოგონებათაგან. მკვლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ხინოვნიკის ილინისა და პორუჩიკის არდიშვილისა—სვანეთის მფლობელის თავად კონსტანტინე დადიშკელიანისაგან. სტატია ა. შჩერბაკოვისა, II. გენერალ ფადეიევის აზრი ქართველობაზე, VI. მოკითხვა, (შუთვლილი დედასთან ქ. ერევნიდგან მეფე თეიმურაზის დროს) ლექსი, თ. რ. ერისთავისა, VII, ბიბლიოგრაფია, პედაგოგიური ჟურნალი «ნობათი» № 1, 1884 წ. სტ. პრ—შვილისა, VIII განცხადება.

**ინგლისური რკინის კრავატები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საყავაქე, სამაჭრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფაიფური, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, საუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ჯაჭვები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარადები, გაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საზნები, ჩუქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—90)

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა**

აძით საზოგადოდ აცხადებს, რომ ხუთს მომავალს აპრილს არის ქალაქის გამგეობაში დანიშნული ვაჭრობა იჯარით გაცემისა სამის წლის ვადით განსაკუთრებითი ვაჭრობის ნებისა სხვა-და-სხვა მადნეულის წყლებისა ქუთაისის ბულვარის კიოსკში. (3—3)

## ინგლისის მაღაზია

**Maison de confiance**

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, ლანგები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—5)

**«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების,** მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ — ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახლობაზე (Михайловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—1)

ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—11)



**მაკ-მასტერი**

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტგები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო




კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—70)

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. | | 5 კ. |
| ახალციხის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

**რკინის გზა**

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილ. ით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკ. ნ.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. დილისა.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. ценз. Тифлисъ, 28 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.